



სააპელაციო საბჭოს  
ბადაყვივთილება  
ქ. თბილისი



MES 8 21 0000244613



17/03/2021


**შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ**

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის, სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 02 თებერვლის №53934 გადაწყვეტილებისა და სააპელაციო საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტისა და 28<sup>7</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.
2. სააპელაციო საბჭოს 2021 წლის 17 მარტის №244548 სხდომის ოქმი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.

4. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
სააპელაციო საბჭო  
თავმჯდომარის მოადგილე  
მამსიკაშვილი თამარი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი / სააპელაციო საბჭო  
მდივანი  
ჭეიშვილი დავით

